დანართი №1

განცხადება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.

2. კანდიდატობის პერეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უმაღლესი განათლება;
ბ) გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;
გ) გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სფეროში (სასურველია);

3. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლის 11 ოქტომბერს 10^{00} საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, ოთახი №08.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2010 წლის 21 ოქტომბრის 18^{00} საათი.

5. აკადემიური საბჭოს მიერ შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის წარმომადგენლობით საბჭოსთვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2010 წლის 5 ნოემბერი.

7. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის (დიპლომის) ასლი;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია;
დ) სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;
ე) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4–ზე;